უზენაესმა ალლაჰმა თქვა: სამი პიროვნების მოდავე მე ვიქმები განკითხვის დღეს

გადმოცემულია აბუ ჰურაირასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «უზენაესმა ალლაჰმა თქვა: სამი პიროვნების მოდავე მე ვიქმები განკითხვის დღეს: კაცი, რომელმაც დადო პირობა ჩემი სახელით, შემდეგ უღალატა მას, კაცი რომელმაც გაყიდა თავისუფალი ადამიანი და მიირთვა მისი საფასური, კაცი რომელმაც დაიქირავა მუშა, შემდეგ მისი საქმე შეასრულა და მას არ მისცა თავისი გასამრჯელო».

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა ალ-ბუხარიმ]

ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნო, რომ უზენაესი ალლაჰი ამბობს ყუდსი ჰადისში: სამი კატეგორია ხალხია, რომელთა მოდავე მე ვიქნები განკითხვის დღეს, ვისი მოდავეც მე ვიქნები დავამარცხებ და ვსძლევ მას. პირველი: ვინც ფიცს მისცემს და დაიფიცებს ალლაჰს, დადებს აღთქმას, შემდეგ კი დაარღვევს მას და არ შეასრულებს. მეორე: ვინც გაყიდის/გაასაღებს თავისუფალ პიროვნებას როგორც მონას, შემდეგ გამოიყენებს და გაფლანგავს მის თანხას. მესამე: ვინც დაიქირავებს მუშას საქმისთვის, და მასზე დაკისრებულ საქმეს სრულად ჩაიბარებს, და მის გასამრჯელოს ამ საქმისთვის არ მისცემს მუშას.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/66163

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY
لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee